ქ. თბილისის მუნიციპალეტის საკრებულოს
და
ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
წევრების

ირაკლი ნადირაძის, მარიკა დათუკიშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ლილე ლიპარტელიანის, ლევან ხაბეიშვილის

მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის
ოქმი

თბილისი 24 ოქტომბერი 2020 წ.

ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები : **ირაკლი ნადირაძე, მარიკა დათუკიშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ლილე ლიპარტელიანი, ლევან ხაბეიშვილი.**

შეხვედრას უძღვებოდა ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე.

ფრაქციის წევრებმა საჯარო შეხვედრის დამსწრე მოქალაქეებს, ამომრჩეველებს გააცნეს მათ მიერ, საკრებულოს წევრის სტატუსით გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

საკრებულოს/ფრაქციის წევრებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს.

საკრებულოს/ფრაქციის წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშების კონსოლიდირებული ვერსია დანართის სახით ერთვის წინამდებარე ოქმს.

ირაკლი ნადირაძე
საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი

დანართი

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებით ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარტიული სიით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული წევრების მიერ შექმნილია **ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''** შემდეგი შემადგენლობით:

1. **ირაკლი ნადირაძე** - ფრაქციის თავმჯდომარე;
2. **მარიკა დათუკიშვილი** -ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ლევან ხაბეიშვილი;**
4. **ლილე ლიპარტელიანი;**
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი;**

ფრაქციის წევრები გაერთიანებულნი არიან საკრებულოს შემდეგ კომისიებში

1. **ირაკლი ნადირაძე**
   - სატრანსპორტო საკითხთა კომისია
   - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2. **მარიკა დათუკიშვილი**
   - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
   - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

3. **ლევან ხაბეიშვილი**
   - სარევიზიო კომისია
   - გარემოს დაცვის კომისია

4. **ლილე ლიპარტელიანი**
   - ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
   - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი**
   - განათლებისა და კულტურის კომისია
   - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგისა და მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის ღონისძიებებში, მოსახლეობის ინტერესების დაცვაში, მომმართველი მოქალაქეების მდგომარეობის შესწავლაში და კომპტენეციის ფარგლებში დახმარების გაწევაში.

არაფორმალური მმართველის ნებას დაქვემდებარებული ,,ქართული ოცნების'' პარტიული უმრავლესობა საკრებულოში ყოველმხრივ ეწინააღმდეგება დემოკრატიული პრინციპებით მუნიციპალიტეტის მართვას, მათ მიერ ოპოზიციური ფრაქციის წინადადებები და მოსაზრებები სრულად არის იგნორირებული.

მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, პანდემიასთან ერთობლივი ბრძოლის მიზნით ფრაქციამ წერილობით მიმართა როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ისე თბილისის მერს და გამოთქვა მზადყოფნა COVID19-თან ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში თბილისის მოსახლეობის დასაცავად, მათ შორის მოხალისეობრივი შრომის რეჟიმით, თუმცა მმართველი პარტიის მხრიდან ასეთ საკითხშიც უარყოფილი იქნა თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტიის მიერ საქართველოს მოსახლეობისთვის დაპირებული პროპორციული არჩევნების პირობის თაღლითური შეუსრულებლობის კვალდაკვალ გამართულ საპროცესტო აქციებს სხვა მოქალაქეებთან ერთად ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები, ერთ-ერთ აქციაზე დაკავებული იქნა ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე და პროცესუალური უფლებების უხეში ხელყოფის გზით მას შეეფერდა 13 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა. თბილისის საკრებულოს მმართველობა არათუ არ დაინტერესდა საკრებულოს წევრის უფლებების დაცვით, თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს საშუალება მისცა საკრებულოს შენობაში ხელი შეეშალათ ფრაქციის წევრებისთვის საკრებულოს ღია სივრცეში პროტესტის გამოხატვისთვის

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით ფრაქციის წევრები შეხვდნენ ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელს ბატონ კრისტიან ურსეს და გააცნეს დარღვევის ფაქტები, ევროპის საბჭოს ადგილობრივ ხელისუფალთა კონგრესის ბიუროს ფრაქციის მიერ მიეწოდა წერილობითი ინფორმაცია.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ტყეობაში მყოფი ქართველი ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის და მისი ოჯახის მიმართ საჯარო შეურაცხყოფის გამო ფრაქციამ დააყენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის

თავმჯდომარის, ერეკლე კუხიანიძის გადაყენების საკითხი რაც მიღწეული იქნა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური პროტესტით. თუმცა არც აღნიშნულ ფაქტს ჩაუვლია ძალადობის გარეშე, თბილისის მერიის უსაფრთოების საქალაქო სამსახურის უფროსის მონაწილეობით თბილისის საკრებულოში მყოფი სამოქალაქო აქტივისტებთან მყოფი ფრაქციის წევრების მიმართ გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალადობა და იყო საკრებულოდან საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის უკანონო გაყვანის ფაქტიც. საკრებულოს ხელმღვანელობა არც ამჯერად ჩარეულა საკრებულოს წევრის სტატუსის დასაცავად.

მიმდინარე წლის იანვარს, გარემოს დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობისას ამავე კომისიის წევრზე ლევან ხაბეიშვილზე, ,,ქართული ოცნების'' წევრებმა განახორციელეს ჯგუფური თავდასხმა და ფიზიკური ანგარიშსწორება, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმა პირდაპირ ეთერში ნახა მთელმა ქვეყანამ, თავდამსხმელთა მიმართ ჯერაც არ დამდგარა სასამართლო გადაწყვეტილება, თუმცა თავად დაზარალებულ ლევან ხაბეიშვილს წარედგინა ბრალი.

არაფორმალური მმართველობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების ძალადობრივი დარღვევების საპასუხოდ, ირაკლი ნადირაძე პროტესტის ნიშნად გავიდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს შემადგენლობიდან, მასთან ერთად აღმასრულებელი საბჭო დატოვა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მთელმა წარმომადგენლობამ, მათ მიერ წარდგენილი იქნა შემდეგი შინაარსის წერილი:

ჩვენ, საკრებულოს და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები

ვითვალისწინებთ რა, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის პრინციპებს:

რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიის მშენებლობისათვის;

მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებებს:

რომ არაფორმალური მმართველობის პირობებში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეზღუდული აქვთ უფლება და შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გადაქცეულია პოლიტიკური ოპონენტების, საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების ფიზიკური ანგარიშსწორების პოლიგონებად, რომლის ბოლო მაგალითი იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომაზე საკრებულოს ოპოზიციონერ წევრზე, ლევან ხაბეიშვილზე ჯგუფურად ორგანიზებული ფიზიკური ძალადობა.

რომ ,,საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია'' რომლის მოვალეობაა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კოორდინაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებათა ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, მისი ხელმძღვანელობის და განსაკუთრებით მისი პრეზიდენტის, სიძულვილის ენის გამორჩეული თბილისის მერის კახა კალაძის სახით, ქცეულია ქვეყანაში პოლიტიკური ოპონენტებისადმი ძალადობის, ფიზიკური ანგარიშსწორების წამახალისებელ ძალად და ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების ჩართვას პარტიულ სადამსჯელო ღონისძიებებში, გადაქცეულია არაფორმალური მმართველის პარტიულ სტრუქტურად.

ვინაიდან ,,საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია'' ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, თავად ასოციაციის წესდების პრინციპების საწინააღმდეგოდ, აღარ წარმოადგენს თვითმმართველობების ინტერესების გამტარებელ ქმედით ორგანიზაციას, პროტესტის ნიშნად გავდივართ მისი აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობიდან.

ვაგრძელებთ ბრძოლას საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიისა და საქართველოს თვითმმართველი ერთეულების მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' წევრების მიერ აქტიურად ხორციელდება საკრებულოში შემოსული საკითხების შესწავლა, საპასუხოდ ,,ქართული ოცნების'' მიერ პრაქტიკაში დაინერგა საკრებულოს სხდომის მოწვევის დადგენილი წესების დარღვევა:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მუხლი 26 ადგენს რომ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით ასევე განსაზღვრულია რომ:
საკრებულოს სხდომები საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც, ყოველი თვის ბოლო სრულ კვირას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 54-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს სხდომის შესახებ ერთი კვირით ადრე ინფორმირებას:
საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება საკრებულოს სხდომის ჩატარების შესახებ სხდომის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, გამოეკვრება საჯარო გაცნობისთვის საკრებულოს შენობაში, სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და განთავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობებთ საკრებულოს წევრებს.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად რიგგარეშე სხდომებისთვისაც დადგენილია ერთ კვირიანი შეტყობინების ვალდებულება :
მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას.

საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარებაზე შეტყობინების ვადის მაქსიმალური შემცირება ხელს უშლის საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგით გათვალსწინებული საკითხების ისეთ შესწავლას, როგორსაც მოითხოვს საკრებულოს წევრის ვალდებულება.

არაფორმალურმა მმართველობამ თბილისის საკრებულოში დაადგინა იმგვარი მავნებლური პრაქტიკა, რომლის მიზანიც არის ხელი შეეშალოს საკრებულოს წევრებს მოახდინონ საქმის მასალების სათანადო შესწავლა.

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით ფრაქციამ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' არაერთხელ მიმართა საკრებულოს მმართველობას აღმოფხვრილი ყოფილიყო ანტიდემოკრატიული პრაქტიკა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ ფრაქციამ მიმართა სხდომის ბოიკოტირების საპროტესტო უფლებას და დღემდე იმყოფება ამგვარ რეჟიმში.

თბილისის მერის კახა კალაძის მიერ ადმინისტრირებული დარღვევა - ფრაქციის სხდომაზე მიწვეული, ანგარიშვალდებული პირების გამოუცხადებლობის პრაქტიკა ისევ გრძელდება:
მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლის, დიღმის ჭალების მიმდინარე ეკოლოგიური კატასტროფის ფაქტებზე ფრაქციის სხდომაზე მოწვეული იქნენ: თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- მაია ბითაძე, თბილისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი -ლევან ჯღარკავა, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი -გიგა გიგაშვილი.

არც ერთი თანამდებობის პირი არ გამოცხადდა ფრაქციის სხდომაზე, მათი მხრიდან არ მომხდარა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების განმარტება, ან წინადადება სხვა დროს გაგვემართა სხდომა.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირების მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ფრაქციამ წერილობით მიმართა საკრებულოს აპარატს, მოემზადებინა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი რომ სასამართლო წესით უზრუნველყოფილიყო საკრებულოს ინტერესების დაცვა, თუმცა ჩვენთვის უცნობია საკრებულოს აპარატის მხრიდან რაიმე ღონისძიების გატარების შესახებ, ინფორმაცია, ვინაიდან, მოთხოვნის მიუხედავად, მათ ფრაქციის ინფორმირება არ მოუხდენიათ.

არაფორმალურმა მმართველობამ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში ადგილი არ დატოვა ადგილობრივი დემოკრატიის პრინციპების განსახორციელებლად, მიუხედავად ამისა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' აქტიურად იბრძვის თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესების დასაცავად, ინტენსიურად ხორციელდება უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა-დამუშავება და ფრაქციის წევრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პირდაპირი კომუნიკაციის გზით და მასმედიის საშუალებით აწვდიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მართვა-გამგეობის პრობლემებზე და გამოწვევებზე, რომ მოსახლეობა გააჩნდეს საშუალება მიიღოს ობიექტური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის პრობლემებზე და მართვა-გამგეობაზე.

ირაკლი ნადირაძე **მარიკა დათუკიშვილი**

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

ლილე ლიპარტელიანი

ლევან ხაბეიშვილი